აფხაზეთში, საქართველო, მდგომარეობის შესახებ
გაეროს გენერალური მდივნის <u>მოხსენების დანართი I I</u>

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების პოლიტიკურ-სამართლებრივი ელემენტების წინადადებათა თაობაზე

1. აფხაზეთი იქნება სუბიექტი, რომელიც ფლობს სუვერენულ უფლებას საკავშირო სახელმწიფოში, რომელიც შეიქმნება სადავო საკითხების მოგვარების შედეგად მოლაპარაკებათა შემდეგ. საკავშირო სახელმწიფოს სახელწოდება განისაზღვრება მხარეების მიერ შემდგომი მოლაპარაკებების მსვლელობისას. მხარეები ცნობენ საკავშირო სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას, შექმნილს, როგორც ზემოთ აღნიშნულია, ყოფილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრების ფარგლებში 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით.

2. აფხაზეთს ექნება თავისი საკუთარი კონსტიტუცია და კანონმდებლობა, აგრეთვე, შესაბამისი სახელმწიფო სიმბოლიკა: ჰიმნი, გერბი და დროშა.

3. საკავშირო სახელმწიფოს სახელისუფლო სტრუქტურები შექმნილი იქნება მხარეების მიერ ურთიერთდელეგირებული უფლებების განხორციელებისათვის მათ მიერ უკვე შეთანხმებული ერთობლივი საქმიანობის შემდეგ სფეროებში:

საგარეო პოლიტიკა და საგარეო-ეკონომიკური კავშირები;

სასაზღვრო სამსახური;

საბაჟო სამსახური;

ენერგეტიკა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა;

ეკოლოგია და სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაცია;

ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების, ეროვნული უმცირესობების უფლებების დაცვა;

მხარეებს შორის შეთანხმებით, ერთობლივი კომპეტენციის სფერო შეიძლება შეივსოს. ერთობლივი კომპეტენციის ფარგლებში საკითხები, რომლებიც აფხაზეთის უშუალო ინტერესებს ეხება, გადაწყდება მხოლოდ მისი თანხმობით.

4. ერთობლივი კომპეტენციის გარეთ აფხაზეთი ფლობს სრულ სახელმწიფო ხელისუფლებას, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის ღონისძიებათა ჩათვლით. პოლიცია და სამართალდამცავი ორგანოები აფხაზეთში ჩამოყალიბდება მრავალეროვნულ საფუძველზე.

5. საერთაშორისო ურთიერთობებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობის ჩათვლით, საკავშირო სახელმწიფო აფხაზეთის მონაწილეობით გამოდის ერთიანი სუბიექტის სახით. თავისი კომპეტენციის ფარგლებში აფხაზეთს უფლება ექნება დადოს საერთაშორისო ხელშეკრულებები.

6. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ მიერ შეთანხმებული ყოვლისმომცველი მოწესრიგების პოლიტიკურ-სამართლებრივი პრინციპები განამტკიცონ კონსტიტუციურად.

7. მხარეები თხოვნით მიმართავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და რუსეთის ფედერაციას უზრუნველყონ მათ მიერ მიღწეული შეთანხმებანი და თანხმდებიან შეასრულონ გარანტების გადაწყვეტილებანი.

1994 წლის 3 მაისი.

(www.un.org/docs. საკუთარი თარგმანი)